ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2022 წლის 6 მაისი

ქ. ხონი

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა სარგოების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, „დ.დ“, „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 121-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-8 მუხლების პირველი პუნქტების, მე-19 მუხლის, 34-ე მუხლის მე-6, 6^1 პუნქტების და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების გათვალისწინებით, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანდართული თანამდებობრივი სარგოები (დანართი №1).

მუხლი 2

დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანდართული საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები (დანართი №2).

მუხლი 3

დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა პოზიციები და თანამდებობრივი სარგოები (დანართი №3).

მუხლი 4

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირების სარგოების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 190020020.35.119.016465, 22/12/2021) ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 22 დეკემბრის №23 დადგენილება.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვალერი ბახტაძე**

დანართი 1

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების
თანდართული თანამდებობრივი სარგოები

№	საშტატო ერთეულის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	**4510**
2	ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	**3410**
3	ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**2970**

4	ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2420
5	ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2200
6	ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადილე	1760

დანართი 2

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანდართული საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	საშტატო ერთეულის დასახელება	საშტატო ერთეული	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	პირველი რანგის საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის (საკრებულოს აპარატის უფროსი) ხელმძღვანელი	1	2200
2	მეორე რანგის საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი) ხელმძღვანელი	1	1760
3	მეორე რანგის საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) ხელმძღვანელი	1	1760
4	მესამე რანგის საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი)	3	1100
5	მესამე რანგის საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; (საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი)	8	1100
	საკრებულოს აპარატი სულ	14	17820

დანართი 3

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა პოზიციები და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	ხელშეკრულების რაოდენობა	თანამდებობრივი საეგო
1	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	2	1540
2	სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობებში	3	1100
3	საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი	1	1100
4	საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი	1	1210

5	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მძღოლი	1	605
6	სპეციალისტი უსაფრთხოების საკითხებში	1	990
	ხელშეკრულებით დასაქმებული სულ	**9**	**10285**